საქართველოს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად:

ანაზღაურებას ექვემდებარება:

საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით განხორციელებული არაავტორიზებული საბარათე ოპერაცია, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ ითხოვს მომხმარებლის ძლიერ ავთენტიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითურ ქმედებას.

ბანკი თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისგან:
თუ დაამტკიცებს, რომ მომხმარებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა ქვემოთ მითითებული ვალდებულებების დარღვევას ან/და საბარათე ოპერაცია იყო ინიცირებული და ავტორიზებული მომხმარებლის მიერ ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის ფარგლებში, რაც გულისხმობს ამავე წესით გათვალისწინებული სამი ელემენტიდან (ცოდნა, ფლობა, უნიკალურობა) სულ მცირე ორი ელემენტის გამოყენებით საბარათე ოპერაციის ვერიფიკაციას.

მომხმარებლის ვალდებულებები:
ა) გამოიყენოს საგადახდო ინსტრუმენტი ამ საგადახდო ინსტრუმენტისათვის დადგენილი პირობების შესაბამისად;
ბ) დაიცვას მისთვის გაცემული საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომები, უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა;
გ) საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში შეატყობინოს ამის თაობაზე თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ან ამ პროვაიდერის მიერ განსაზღვრულ პირს.

ბარათის უსაფრთხოების სერვისით სარგებლობისას ანაზღაურებას ექვემდებარება:

- შეძენილი დაზღვევის პაკეტით განსაზღვრული ლიმიტისა და პირობების შესაბამისად, ბანკი უპირობოდ აანაზღაურებს ნებისმიერ არაავტორიზებულ საბარათე ოპერაციას.
- შეძენილი დაზღვევის პაკეტით განსაზღვრული ლიმიტისა და პირობების შესაბამისად, ბანკი დამატებითი მოკვლევისა და დოკუმენტების მოთხოვნის საფუძველზე განიხილავს ავტორიზებული საბარათე ოპერაციის ანაზღაურებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა ონლაინ შესრულებული საგადახდო ოპერაციის შედეგად არ მიიღო ან ვერ მიიღო მომსახურება და/ან მიღებული მომსახურება არ შეესაბამებოდა მომსახურების აღწერაში მითითებულ მახასიათებლებს ან/და განსაზღვრულ პირობებს.